ცნობის ფურცელი

VI Წ. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1901 ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲛᲐᲘᲡᲘ № 1477

ᲒᲐᲖᲗᲘᲐ ᲦᲘᲠᲘᲡ: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ტფილისში ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 372.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

„ᲙᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐ ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ,

ᲓᲦᲔᲘᲗ:

ვ. ი. ᲯᲘᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ელექტრონითი — 9—10 ს.

ნ. ა მულიანი ურიანი, ყელისა და ცხვირი — 11—12 საათ. დე.

ი. ბ. ახალშენიშვ. ი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინანი—12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო 11—12 ს.

ვ. დ. მარკვეიჩი—სადა სტაქრო— 12½—1½ საათამდე, საშუალოთ 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და შარდისი—1½—2 საათამდე.

ᲡᲐᲦᲐᲡᲐᲛᲝᲗᲝ:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური კვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

ᲐᲠᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲠᲘᲡ: ᲛᲘᲙᲠᲝ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲑᲜᲘ.—5—6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲤᲐᲡᲘ: ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ 50 კ.; ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ — ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ. ᲙᲠᲝᲜᲢᲘ 4 ᲛᲐᲜ. ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲠᲝᲜᲢᲘ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗᲘᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲙᲣᲙᲘᲐ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲠᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲒᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, № 21 (ᲕᲐᲠᲐᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ). ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274. (ᲬᲚ.)

ᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠ

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ:

ᲡᲐᲑᲔᲑᲘ, ᲬᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ (ᲛᲔᲢᲙᲔᲑᲘ).

ᲑᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 12 (10—5)

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

მიხეილ გედევანიშვილი

ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲦᲐᲨᲘ

ᲧᲝᲠᲝᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 16.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲦᲘᲚᲘᲗ 12—1 Ს., ᲓᲦᲔᲛᲝᲗᲘ 6—7 Ს. (10—6—10)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

✦ 25 და 26 მაისს მუშტაიდში გამართულმა **სახალხო სეირნობამ** წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. შემოსავალი ეს 1600 მანეთამდე იქნება.

✦ გუშინ ტფილისის სათავად-აზნაურო ადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება ნაშუადღევის 1 საათიდან შეუდგა **არჩევნების მოხდენას.** გამგეობის წევრის ადგილზე დასახელებულ იქმნა ისევ ბ. ა. ნ. ფურცელაძე, ხოლო მის კანდიდატად ბ. ა. ი. სავანელი; დამფასებელ კომისიის წევრების თანამდებობაზე კანდიდატებად კრებამ დაასახელა 6 კაცი, ხოლო დამფასებელთა კანდიდატებად სამი; დამფასებელ კომისიის წევრობაზე კენჭის ყრის სურვილი განაცხადეს თავ. რ. გ. ჯავახიშვილმა, კ. ი. სვიმონოვმა და თ ნ. მ. ჯორჯაძემ.

გამგეობის წევრად 65 ხმით წინააღმდეგ 32 ხმისა ამორჩეულ იქმნა ისევ ა. ნ. ფურცელაძე, მის კანდიდატად ა. ი. სავანელი 64 ხმ. წინააღ. 34 ხმისა. დამფასებელ კომისიის თანამდებობაზე დასახელებულ კანდიდატებს ამოუვიდა თავ. გ. ს. ციციშვილს 65 თეთრი და 32 შავი; თავ. ი. გ. ჯორჯაჯეს 75 თ. 23 შ., თავ. გ. ი. რატიშვილს 61 თ. 37 შ., ბ. ა. გ. მირზაშვილს 28 თ. 70 შ., მ. კ. ყიფიანს 44 თ. 54 შ., ა. ლ. აბაზაძეს 41 თ. 57 შ. თავ. რ. გ. ჯავახოვს 24 თ. 74 შ. თ.ნ. მ. ჯორჯაძეს 30 თ. 68 შ., ბ. კ. ი. სვიმონოვს (ყოფილს ქუთაისის პოლიცმეისტერს) 11 თეთრი 86 შავი. კანდიდატებთაგანს ფ. ი. ამირალოვს 45 თ. 53 შ., თავ. ი. ფ. ანდრონიკაშვილს 50 თ. 47 შ. და თავ. დ. ნ. თარხან-მოურავოვს 47 თ. 51 შ. ამ ნაირად კომისიის წევრად არჩეულ იქმნენ თავ. ი. გ ჯორჯაძე, თავ. გ. ს ციციშვილი და თავ. გ. ი. რატიშვილი, ხოლო კანდიდატად თავ. ი. დ. ანდრონიკაშვილი რადგანაც დამფასებელ კომისიის წევრთა ორი კანდიდატი ამოურჩეველი დარჩათ, ამიტომ კრება შესდგება მათ ამოსარჩევად დღეს დილის 11 საათზედ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ.

26 მაისის სხდომა.

გუშინდელ №-ში აღნიშნული საგნების გარდა 26 მაისს სხდომაზედ რწმუნებულთა კრებამ განიხილა აგრეთვე მოხსენება ტფ. საკომერციო სასწავლებელში ფონდის შესადგენად საშუალების გამოძიებისა და კახეთში სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1900 წლის 1 მაისის სხდომაზედ რწმუნებულთა კრებამ დაადგინა დაევალოს ბანკის ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებულს საკრებულოს განსაკუთრებული მოხსენება წარმოედგინა საზოგადო კრებისათვის, თუ საიდგან გამოეძებნათ საკომერციო სკოლაში ფონდისა და კახეთში სამეურნეო სკოლის დასაარსებლად საჭირო ფული. როგორც წაკითხულ მოხსენებიდან სჩანს, ზედამხედველს კომიტეტს გამგეობასთან ერთად შეუძლებლად უცვნია საკომერციო სასწავლებელში ფონდის დაარსების განხორციელება, რადგანაც ბანკს არავითარი ისეთი თავისუფალი წყარო არ აქვს თავის შეძლებიდან ამ ფონდის შესადგენად: საზოგადოების საჭიროებათა თანხა მთლად სათავად-აზნაურო გიმნაზიას სჭირდება, ხოლო ბანკის სამეურნეო თანხას სპეციალური დანიშნულება აქვსო. რაც შეეხება კახეთში სამეურნეო სკოლის დაარსების საქმეს, თუმცა ბანკის სამეურნეო თანხა ამ მიზნისათვის არის დანიშნული, მაგრამ ამ ჟამად ისეთ მიუცილებელ საჭიროებას ხმარდება ის თანხა სესხობით, როგორც სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაოო; ამასთანავე ამ საკითხის გამო წინადადება არ არის გამორკვეული იმდენად, რომ რაიმე დასკვნამდე შეგვეძლოს მისვლა; მაგ., რამდენი ფული იქნება საჭირო, რა ტიპის იქნება სკოლა, რა პროგრამა ექნება და სხვანი. აღნიშნულ მოსაზრებათა მიხედვით, კომიტეტი გამგეობასთან ერთად—სთხოვს რწმუნებულთა კრებას დასტოვოს ჯერ-ჯერობით კახეთის მეორე სკოლის შესახებ აღძრული საკითხი უყურადღებოდ შერჩეულ დროამდე.

შემდეგ კრებამ შეუცვლელად მიიღო ბანკის და გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მას შეჰკრიბოს ცნობები იმ ადგილების შესახებ, რომელთაც პატარა ქალაქების ხასიათი აქვთ და შემდეგ შუამდგომლობა აღძრას ფინანსთა სამინისტროში—ნება მიეცეს გამგეობას გასცეს სესხი იმ დაბების მცხოვრებთა მამულების ბანკში დაგირავებით.

1900 წლის 5 აპრილს **თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილს** განცხადება შეუტანია ბანკის გამგეობაში იმის შესახებ, რომ რადგანაც საჭიროება არის ტფ. გუბერნიის გარდა მოკლე ვადიან სესხში, ხოლო ბანკს ეს სესხი წესდების მე-35 §-ის ძალით არ შეუძლიან გასცეს, ამიტომ კარგი იქნება შუამდგომლობა იქმნეს აღძრული, რომ მოკლე ვადიანი სესხი გაიცეს ბანკის მოქმედების ყველა რაიონებში, როგორც წესდების მე-333 §-ში ნაჩვენებ თანხიდან აგრეთვე ბანკის ძირითად თანხიდანაც (2 §-ში წესდებისა), რისთვისაც უნდა გამორიცხულ იქმნეს წესდების მე 35 §.

ბანკის გამგეობა ამის შესახებ მოხსენებაში ამბობს, რომ უხერხულად მიგვაჩნია შუამდგომლობა აღიძრას ძირითად თანხიდან მოკლე ვადიან სესხის გასაცემად ნება რთვისათვის და სთხოვს რწმუნებულთა კრებას მიეცეს მას ნება აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს წესდების პირველ მუხლის შეცვლისა და წესდების მე-33 მუხლში ნაჩვენებ წყაროდან მოკლე ვადიან სესხის ბანკის სამოქმედო ყველა რაიონებში გაცემის შესახებ კრებამ დაამტკიცა შეუცვლელად გამგეობის წინადადება.

ამავე დღეს კრება დათანხმდა გამგეობის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბანკის მსესხებელთა რწმუნებულების მომავალ სამის წლის 1903 წ.—1906 წწ. არჩევანი მოხდეს 1902 წლის ბოლოში ანუ 1903 წლ. დასაწყისში, ასე რომ ეს არჩევნებიც იმ დროს ხდებოდეს, როცა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრებები ხდება. კრება შესწყდა ნაშუადღევის მესამე საათზე და გადაიდვა 27 მაისის დილის 11 საათისათვის.

27 მაისის სხდომა.

წინანდელ კრების ოქმის თითქმის შეუცვლელად დამტკიცების შემდეგ, კრებას განსახილველად წარედგინა მოხსენება ბანკის წესდების მე-103 §-ის შევსების შესახებ. საქმე იმაშია, რომ შარშან **თავ. გ. მიქელაძემ** ბანკის რწმუნებულთა კრებაზედ აღძრა საკითხი, რომ, რადგანაც ბანკის სათადარიგო თანხა მოქცეულია სახელმწიფო ქალალდებში და ამიტომაც მცირე სარგებელს ვღებულობთ, ამიტომ შუამდგომლობა აღვძრათ სამინისტროს წინაშე ნება დაგვრთოს სათადარიგო თანხის მთავრობისაგან არაუზრუნველ სარგებლიან ქალალდებში მოთავსდესო. ამ წინადადების გამო კრებამ შარშან დაავალა გამგეობას ამ საგნის შესახებ თვისი მოსაზრება წარმოუდგინოს რწმუნებულთა კრებას.

გამგეობამ შესაძლებელად ვერ სცნო თავ. მიქელაძის წინადადების ასრულება, რადგანაც საშიშრად მიაჩნია სათადარიგო თანხის არა სახელმწიფო ქალალდებით შენახვა. ამ ქალალდების ფასი ხშირად აიწევ-დაიწევს ხოლმე; ხოლო ის თანხა, რომლით დაფარული უნდა იყოს შესაძლებელი ზარალი, უნდა უფრო მტკიცე, უშიშარ, უზრუნველ-ყოფილ ქალალდებით იქმნას შეტანილი.

თავ. მიქელაძემ განაცხადა, რომ მას სრულიადაც არ უთქვამს შარშან, რომ მთელი სათადარიგო თანხა შენახულ იქმნას კერძო ქალალდებში, არამედ ⅓ ამ თანხისა. ფინანსთა სამინისტრომ უკვე მისცა ამის ნება რამდენსამე ბანკს; საშიშარი აქ არაფერი არ არის, რადგანაც სახელმწიფოს მიერ უზრუნველ-ყოფილი ქალალდებიც აიწევ-დაიწევიან ხოლმეო.

საკმაოდ ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება და უარჰყო თავ. მიქელაძის წინადადება.

შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს, რომლის შედეგი იხ. ზემოთ ახალი ამბებში.

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ბატონი შენი ერთგული
შენვე გაჩუქებს ქუდსაო,
გაჩუქებს, ისევ წაგართმევს,—
ნუ დაგაკლდება გულსაო.

სწორედ ამ ანდაზას ემგავსება საჩხერიდან საავადმყოფოს გადატანა. საჩხერე არის მდიდარი მდებარეობით, ჭვავით, წყალით და მოსავლით. არა მგონია, რომ იმერეთში მეორე ადგილი შეედარდეს საჩხერეს და იმის გარეშემო შემოწკიპულ სოფლებს ბუნების სიმდიდრით. რაც შეეხება სწავლა-განათლებით სიმდიდრეს, ამაში კი, საუბედუროდ, ძალიან დაქვეითებული არის. აქამდის უფრო სამწუხარო მდგომარეობაში იყო საჩხერე სწავლა-განათლების მხრივ და დღეს კი გაუმჯობესდა მითი, რომ არის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა, ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, ათთიაქი და საავადმყოფო. ესენი უველა საჭირბოროტო და აუცილებელი საჭიროება არის საზოგადოებისათვის, თუმცა ათთიაქი და ექიმი დიდად არაფერად მიაჩნდათ ხალხს, მაგრამ თანდათან შეეჩვია ხალხი ექიმობას, ექიმისგან მიტემულს დარიგება-ადსრულებას და სხვას. ამ ბოლო დროს იმდენად გაიგეს ის, თუ რამდენი სარგებლობა შეუძლია ექიმობას, რომ ექიმი კაცი საბებიო ვალდებულობის ადასრულებლად დაჭუავთ. დღეს, როგორც ისმის, ეს საავადმყოფო გადაქვთ საჩხერიდან ხარაგაულში, ბელაგორის რკინის გზის სადგურის ახლო. სრულიად გაუგებარია ის, თუ რა შემთხვევისთვის გადაქვთ ეს საავადმყოფო საჩხერიდან. თუ იმას ჭეიქრობენ, რომ ჭიათურა არის ახლოს და შეიძლება იქიდან საჭიროების დროს ექიმის მოყვანა, ეს რატომ არ იციან, რომ ჭიათურის ექიმს სრულიად ადგრძალული აქვს ჭიათურის გარეშე სიარული, რადგან ის შავი ქვის მწარმოებლებისაგან არის დაქირავებული და იმათ ექიმობს. რაც შეეხება ზესტაფონს (უვირიდა), სადაც არის მაზრის ექიმი, ზესტაფონი უფრო ახლოს და დასამხრისათ არის ხარაგაულზე, ვიდრე საჩხერეზე. დიდი რკინის გზის დაინდაგი შუაზე სჭრის ხარაგაულს და თუ საჭიროება მოითხოვს ექისის მოწვევას, ბევრად უფრო

ადგილად მოიწვევს თუ გინდ ტფილისიდან, თუ გინდ ქუთაისიდან და თუ გინდ ბათუმიდან ხარაგოულში, ვიდრე საჩხერეში. როგორც ნამდვილის წყაროდან ვიცით, ხარაგაულის საზოგადოება ბევრს შემწეობას ჭვირდებოდა მთავრობას, თუ კი იქ გაიხსნებოდა საავადმყოფო. მაშრა მიზეზია, რომ საჩხერიდან გადადის ეს საავადმყოფო და არსდება ხარაგაულში, სადაც თვით საზოგადოება თავის მხრით ბევრს რამეს ჭვირდებოდა ამ საქმეს, თუ იქაც გაიხსენებენ. ერთი სიტყვით, თუ ეს გამართდა, საჩხერე მოაკლდება ერთ საუკეთესო სიმდიდრეს და საშუალებას. გვწუდება გული, მაგრამ გულის დაკლებას ვინ რად მიიჩნევს.

ილიკო მოძღვრიშვილი

წერილი რედაქციის მიმართ.

უდრმესს მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის მხრით, ისე ხიდისთავის უფასო სამკითხველოს წევრთა მონდობილობით ამ დაწესებულებათა და კერძო პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ხიდ. უფ. სამკითხველოს წიგნების შემოწირვით. სახელდობ: «ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას» თავიანთი კამოცემათა უფასოდ დათმობისთვის, «წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობასა,» რომელმაც დაგვითმო ზოგი უფასოდ და ზოგიც დაკლებულის ფასით. ბ-ბ. ზ. ჯ. ჯინაძეს და ი. იმელიშვილს თავიანთი კამოცემების უფასოდ დათმობისთვის (პირველმა 75 ცალი, ხოლო მეორემ 10 ცალი). ამასთანავე ვუცხადებთ გულ-წრფელ მადლობას ნორნ არტისტებს ბ. ბ. ვ. ურუშაძეს და ალ. წუწუნავას, რომელთაც გამართეს ხიდისთავში წარმოდგენა და, გარდა საზოგადოების დატკბობისა, მცირე შემოსავლიდან სამკითხველოს დუტოვეს 6 მ. 5 კ.

ამასთანავე უნდა გავაცხადო, რომ ქ-ნმა ბ. ბერეკიანისამ კადმოტა 7 მ. 7 კ.. რომელიც მოგროვილი იყო ხიდისთავის საზოგადოებაში განსვენებულ მგოსანის რ. ერისთავის გვირგვინისთვის. რადგან გვირგვინი საჭირო არ დარჩა, ეს ფულიც მიემატა იმ თანხას, რომელიც გადადებულია სამკითხველოს შენობის ასაგებად.

კვლავ მივმართავ ჩვენებურ უცხო მხარეში მეოთე ახალ გაზეთს დაგვეხმაროს თავიანთი წვლილით შენობის აგებაში, რომელსაც ამ დღეებში უნდა შეუდგეთ.

სამკითხველოს გამგე ანტონ რამიშვილი.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზ. «ცნობის ფურცლის» საშუალებით უდრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს ჩვენმა რწმუნებულს აკეთის მცხოვრის ეკკლესიას.

სია შემოწირველთა: ბ. პორეიოლე დავითის ძე ჭეიშვილმა შესამოსლის სასყიდლათ 55 მან; ფოთის საკათედრო ტაძრის კანდელაკმა, ბ. მდგდ. არსენ თოხაძემ აბრეშუმის ოდიკი, დირებული 6 მან., თეკლათის დედათა მონასტრის იღუმენია ათანასიამ შესამოსელი თუ სხვა და სხვა საეკკლესიო სამკაულები, დირებული 40 მან; ფოტინე მგელაძისა კიზირიას ასულმა ერთი ხელი დაფარნები, დირებული 15 მან; ბათუმიდან უცნობმა ბირმა ერთი მცხოვრის ხატი «დამპადკით», დირებული 20 მან; ანნა ზურაბ ხუხუნაიშვილის ქვრივმა ორი ხატი, დირებული 6 მან; და მარია ბადანოვისამ ხატები და სხვა და სხვა ნივთები, დირებული 60 მან.

აკეთის მცხოვრის ეკკლესიის მდგდელი
დავით ჯინჭარაძე.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან“)

26 მაისი.

სოფია. როგორც ისმის, რუმინიის მთავრობამ უარჰყო ბოლგარეთის გამომძიებლის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ ხსენებულ გამომძიებელს ნება ჰქონდეს საარაფოვის საქმეში დაპატიმრებული მაკედონელები მოწმეებად დაიბაროს.

საუტჰამპტონი. დღეს დილით აქ გემით ქ. ბ. ბოტა მოვიდა. ის ჟურნალისტებს არ ელაპარაკა. სრანჟეს რესპუბლიკის მინისტრად ნამყოფის ფეიქრის შვილმა უთხრა „რეიტერის საგენტოს“ წარმომადგენელს, რომ ქ.-ბ. ბოტა პირდაპირ ლონდონში მიდისო, ხოლო იქიდან ჰოლანდიასა და ბელგიაში წავა; ქ.-ბ. ბოტას ჯერ არ დაუნიშნავს დრო, ევროპაში წასასვლელად. მას, ფიშერს, არ შეუძლიან არც უარჰყოს და არც ნამდვილად აღიაროს ის ცნობა, ვითომც ქ. ბ. ბოტა ზავის ჩამოსაგდებად მოვიდა ევროპაშიო; ფიშერს ინგლისელებმა პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს და ნება მისცეს, რომ ქ. ბ. ბოტა ევროპაში გააცილოს და თავისი მამა, აბრამ ფიშერი, ნახოს ბრიუსელში.

ტიანძინი ჩინეთში რკინის გზით დასაცველად დატოვებული მუდმივი ჯარი ამ ნაირად განაწილდება; პეკინის ნაწილს გერმანელი ჯარები დაიკავენ, ტაკუს ნაწილს —საფრანგეთის ჯარი და შანჰაიგუანის ნაწილს—ინგლისის ჯარები.

შანჰაი. გონკონგიდან მოსული გემის მანქანის ცეცხლის შემკეთებელი შავი ჰირით გახდა ავად. შანჰაიში ეს პირველი შემთხვევაა.

ბერლინი. კრეისერები „გეფინ“-ი და “ირენე“ ივლისის დამდეგს აღმოსავლეთ აზიიდან გერმანიაში ბრუნდებიან.

კაპშტადტი. პოლკოვნიკი სკომელი გუშინ საღამოს თავს დაეცა ბურების ბანაკს მარკლი-ისტის ჩრდილოეთ-დასავლეთით. 20 კაცი ტყვედ წაიყვანა, 116 ცხენი ჩაიგდო ხელში და დავლად აიღო სამხედრო სურსათი, სამზადისი და სხვ. პოლკოვნიკმა უინგემმა სტეინსბურგს ახლო იერიში მიიტანა ბურების რაზმზე და 262 კაცი ტყვედ წაიყვანა.

პრეტორია. გუშინ დილით, პრეტორიის ახლო, პიტერმარიცბურგის რკინის გზაზე, მატარებელი, რომლითაც ჯარები მიდიოდნენ, დაეჯახა პირდაპირ მომავალ მატარებელს. 9 ჯარის კაცი მოკლულ იქმნა და რამდენიმე კაცი დაშავდა.

27 მაისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა: 1) ნება მიეცეს სახელმწიფო საბჭოსთან დაარსებულ საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს კომისიისაგან შემუშავებული პროექტი სამოქალაქო სამსახურის წესდების შეცვლის შესახებ; ამასთანავე გაუგზავნოს პროექტი სხვა-და-სხვა უწყებათ, რომელთაც თავიანთი აზრი პირდაპირ სახელმწიფო საბჭოს უნდა წარუდგინონ. 2) დაიხუროს ხსენებული კომისია, რადგანაც მან თავისი დანიშნულება აღასრულა და ყოველი მისი საქმე გარდაეცეს სახელმწიფო კანცელარიას. 3) გამოეცხადოს მათი უდიდებულესობის მადლობა კომისიის წევრთ ერთგულ სამსახურისათვის.

სემიპალატინსკი. 26 მაისს, დილის 10 საათზე, საშინელის ქარის დროს ცეცხლი წაეკიდა ქალაქ პავლოდარს. დაიწვა ქალაქის ორი მესამედი, ეკკლესია, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა, სამაზრო მმართველობა და ხაზინა. ფულები და საბუთის ქაღალდები გადაარჩინეს. დაზარალებულთ შემწეობა ესაჭიროება. პავლოდარში გუბერნატორი წავიდა.

შანჰაი. იტყობინებიან, რომ 24 მაისს გამოიცა იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც ნამთქვამია, რომ სიცხეებისა და დედოფლის ხნიერების გამო იმპერატორის ოჯახის დაბრუნება პეკინში გადაიდვა 10 აგვისტომდე. ვარსკვლავებზე მისანთ ეს დღე სახეიროდ უცვნიათ.

ბერლინი. საღამოს ქალაქის თვით-მმართველობამ გაუმართა ნადიმი ცეცხლის მქრობ საზოგადოების წევრთ. ობერ-ბურგომისტი კირინერი მიესალმა სტუმრებს.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩმა როგკილმა დეპეშით სთხოვა პეკინიდან გარეშე საქმეთა მინისტრს გეის, რომ ნება მიეცეს მას წარუდგინოს ელჩების კრებას წინადადება მის შესახებ, რომ ჩინეთის მიერ საზღაურის გადახდის საქმე გადაეცეს განსახილველად გააგის მედიატორეთა სასამართლოს. გეიმ დეპეშითვე თანხმობა გამოუცხადა ელჩს.

პეტერბურგი. ბირჟა 26 მაისს. 5% და 4½% გირავნობის ფურცლები ტფ. ბანკისა და 6% და 5% გირავნ. ფურც. ქუთ. საადგილ-მამულო ბანკისა და აქციები ა. ი. მანთაშევის ამხანაგობისა ბირჟაზე არ ყოფილან.

პეტერბურგის ბირჟა 26 მაისს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში.	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	—
4% სახელმწიფო რენტა. . . .	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	364¾ გაყიდ.
5% მეორე შინაკ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	298½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	218 გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	89 „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	— —
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	— —
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	— —
4½% გირავნობა ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭეონია.	**ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი კადის დიდის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—კადის სადამის 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—კადის დიდის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. კადის (შეოდოდ ხუთშაბათობით) დიდის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—კადის დიდის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—კადის სადამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. კადის სადამ. 10 ს. (10 ს. 58 [illegible]

ტფილისიდან [illegible] საფოსტო მატარ. კადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. კადის დამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 4[illegible] წ.); 2) კადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ს. 32 [illegible] (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. კადის დამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) კადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 [illegible]

ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. კადის სადამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 4[illegible] წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე კადის სადამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) [illegible] მგზავრო მატარ. ბაქომდე კადის დიდის ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, [illegible] ხეიდის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საფ[illegible] თო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში [illegible] 60 მან. თვეში.

ქალაქის საძეურნალო. მუხრანის ქუჩა, სახ[illegible]ლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., დარჩა[illegible] თვის რჩევაცა და წამლობაც უფასო. საძეურნ[illegible]ლოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის საძეურნალოს გარეშეოფილებანი:

აგლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტ[illegible] როვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მეჯ[illegible] ქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარაგუნისა, ეორონტოვის ქუჩა, სახლი [illegible] ედიკაროვისა, ექიმი ტერ-ასტუროვი.

ოვალების საძეურნალო, ელისაბედის ქუჩ[illegible] სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლ[illegible] ვენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფ[illegible] თა ვის, უფასო, იმეოფება კოჯრის ქუჩაზ[illegible] ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლ[illegible] ში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავ[illegible] მყოფო იმეოფება ავდაბარში, პეტრე-პავლ[illegible] ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასო, 15 ადგილ[illegible] — ფასიანი. თვეში დღეს 12 მან. ექიმი ისტ[illegible] მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფას[illegible] საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო დამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ეორონტოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახ[illegible]ლი მედიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდფუსტისა.

თხზულება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

გამოვიდა დიდი სურათი

პატარა კაზი

(მეფე ირაკლი მეორე ახალგაზდობაში.)

ჟურნალ „მოგზაურის“ ხელის მომწერლებს, რომელთაც ხუთი მანეთი სრულად აქვ[illegible] შემოტანილი, ან ვინც ამას იქით შემოიტანს, სურათი გაეგზავნება აბაზიანის მარკის გ[illegible] მოგზავნის შემდეგ გზის ხარჯად. არა ხელის მომწერთათვის სურათი ღირს გაგზავნ[illegible] 1 მან. 20 კაპ. ვინც ათს ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20%. ტფილისში ხელის მოწერ[illegible] ანუ ყიდვა შეიძლება ქართულ წიგნების მაღაზიებში და დავით გაბრუაშვილის საპარ[illegible] მახეროში (გოლოვინის პროსპექტზე, „პურ-ღვინოს“ გვერდით), აქვე შეიძლება ნახ[illegible] რედაქტორისა დილის 10 საათიდან 12-მდის. (1—1)

ყიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. ა[illegible] გვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომან[illegible] ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა **„დამენებულნი“**, თარგმნილი თ. სახოკ[illegible] მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შ[illegible] უძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество[illegible] გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს [illegible] წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარ[illegible] კეიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Мая, 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.